ინტერვენციული რადიოლოგიის დეპარტამენტი

პროფესორი მალხაზ მიზანდარი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი თამთა აზრუმელაშვილი

ინტერვენციული რადიოლოგიის დეპარტამენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინტერვენციული რადიოლოგიის დეპარტამენტი შეიქმნა 2006 წელს.

დეპარტამენტი აქტიურადაა ჩართული კლინიკურ მუშაობაში. ის ახორციელებს ინტერვენციული რადიოლოგიის სერვისების სრული სპექტრის დანერგვას საქართველოს თანამედროვე კლინიკურ პრაქტიკაში.

თსსუ ინტერვენციული რადიოლოგიის დეპარტამენტის მიერ შექმნილია საქართველოს კარდიოვასკულური და ინტერვენციული რადიოლოგიის ასოციაცია (სკირა), რომლის თაოსნობითა და თსსუ-ის ხელშეწყობით 2010 წელს თსსუ-ში წარმატებით ჩატარდა ES-IR-ის (ევროპის ინტერვენციული რადიოლოგიის სკოლა) კურსი "ბილიარული და ონკოლოგიური ინტერვენციები", რომელშიც მონაწილეობა მიიღო 5 ქვეყნის 60-მდე მონაწილე-ექიმმა.
იმავე წლიდან სკირა წარმოადგენს CIRSE- ს (ევროპის კარდიოვასკულური და ინტერვენციული რადიოლოგიის საზოგადოება) ჯგუფურ წევრს და აქტიურად მონაწილეობს მედიცინის ამ სფეროში მსოფლიოში გამართულ პრაქტიკულად ყველა კონგრესში. დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულია 160 სამეცნიერო ნაშრომი კონგრესების მასალებსა და ძირითადად მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში.
როფესორი მ.მიზანდარი ამჟამად ხელმძღვანელობს სკირა-ს და არის ამ ასოციაციის პრეზიდენტი. ასოცირებული პროფესორი თამთა აზრუმელაშვილი ამავე დროს არის სკირას ხაზინადარი.

თსსუ-ში ინტრევენციული რადიოლოგიის საკითხები ისწავლება, როგორც დიპლომამდელ საფეხურზე, ასევე მისაწვდომია პოსტდიპლომური განათლებისა და ტრეინინგების ფარგლებში.